# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 374 | კვირა, 22 იანვარი 1906 წ. | გაზეთის № 2895


# აღსდგა სიმღერა

### III*)

### ცოცხლად დამარხული

გადიოდა დღეები, კვირები და თვეები. ტუსაღმა არ იცოდა, როდის ჩადიოდა მზე და როდის იწყებოდა დილა. ხანამ ფეხებში ღონე ჰქონდა, მგოსანი სატუსაღოში დადიოდა ფრთხილად, ხელებ წინ გაშლილი, რომ არაფერს დასჯახებოდა. მერე კი ძლივ-ძლივობით-ღა სდგამდა რამდენიმე ნაბიჯს, რომ აელო პური და წყალი, რომელსაც დარაჯი მუდამ დღე უზიდავდა და პატარა. მუშტის-ოდენა ფანჯარაში ულაგებდა, სინათლეს არასოდეს დღეში, არ შეუხედნია სატუსაღოში.

პირველ ხანს, ტუსაღი სცდილობდა ემღერა. ხანდა-ხან კიდეც ყვიროდა სასოწარკვეთილებისა და სიბრაზისგან, ხან კიდევ კვნესოდა, რადგან სინესტემა მთლად დაასნეულა იმის სხეული. ამდროს მგოსანს თავის ხმისაც კი ეშინოდა, როცა კი ჩამოვარდებოდა სამარისებური სიჩუმე, ნამდვილის ხმის მაგიერ რაღაცა არაჩვეულებრივი ხმა ისმოდა ის არ იყო წყლის შრიალი, რომელიც იმის იატაკის ქვეშ მირბოდა, არა... ის, რასაც მგოსანი ყურს უგდებდა, ის ხმა მიწიდამ ამოდიოდა. ტუსაღი დარწმუნებული იყო, რომ სხვა სატუსაღოებშიაც, იმაზედ არა ნაკლებ იტანჯებოდნენ სხვა ტუსაღებიც, რომელთა ხმაც, ყვირილი და კვნესა აქ ოდნავ ისმოდა. არა ერთხელ მოსმენია მგოსანს ძილში რაღაცა გამოურკვეველი სიტყვები, ლაპარაკი· იგი სცდილობდა არ განძრეულიყო, არ ესუნთქა. სამარისებურ სიჩუმეში ისმოდა თვით იმის გულის ცემაც კი, რომელიც დღითი-დღე მატულობდა, თითქოს ლამობდა გულის გახეთქას და გულიდან გადმოვარდნასაო. ხმები კი ისევ იბადებოდა და კვლავ ქრებოდა სულ შემხუთავ ჰაერში, ტუსაღი ჰგრძნობდა, რომ გარედ აღარა სთვლიან იმას ცოცხლად და იმიტომ ასე თავისუფლად დათარეშობენ ოთახში. არა მარტო გრძნობდა ყველა ამას ტუსაღი, არამედ ხედავდა კიდეც იმას, რასაც აქმდის ვერ მისწვდებოდა იმისი გონება. ამ დაუსრულებელ ღამეში, როდესაც წამოწოლილი მგოსანი შავ სივცეში იცქირებოდა, არა ერთხელ მოსჩვენებია რაღაცა უხილავი, შავი, შემზარავი ძალა, რომელიც ნელ-ნელა იზრდებოდა და მერე-კი მის მაგიერ ჰაერში ფრთა დაფრინავდა. ვიღაცა ბრაზიანი, მკაცრი დასცქეროდა მას; ტუსაღი თრთოდა, კანკალებდა და იკუნჭებოდა. აღარ ბუტბუტებდა, რადგან ტუჩები გადაეჩვივნენ ბუტბუტს; მხოლოდ იქ, სადაც შორს—შორს სივრცეში ჯერ სუსტად, მერე უფრო ნათლად მოსჩანდა შუქი, რომელიც რაღაც კეთილ, ღვთიურ გრძნობას უღვიძებდა გულში.

დარაჯი, რომელიც პურსა და წყალს უზიდავდა, არც ერთხელ არ დალაპარაკებია, არც ერთხელ არ გაუგონია მგოსანს იმისი ხმა. ფანჯარა როგორც ჩუმად იღებოდა, ისევე ჩუმად იხურებოდა. ხშირად ჰფიქრობდა ტუსაღი, თუ როგორი სახე უნდა ჰქონდეს დარაჯს და გულში ამბობდა, რომ დარაჯის სახე ისეთივე ბნელი და გულ-შემზარავია, როგორც ეს სატუსაღო, თავის ბნელ კედლებით. თითქოს ეს ყურმოჭრილი მონა შეუბრალებელ ბატონისა იბადებოდა ამ კლდიდან და ითქვებოდა იქვე, როცა კი საჭირო აღარ იყო. შეუბრალებელი!

დიახ, ამ მხრივ საწყალი კარგად იცნობდა თავის მბრძანებელს. კარგად ახსოვს, ჯერ ისევ სიბავშვეში, არა ერთხელ მიუთითებია დედას ამ კლდეზედ, საიდანაც არავინ, არც ერთი ტუსაღი ცოცხალი არ დაბრუნებულა· არ იციან: ეშინოდა ბატონს, რომ იმის ყმებს არ გაეგოთ ამ ციხის საიდუმლოება, თუ ავიწყდებოდა იქ საცოდავი ტუსაღნი; ეს კია, რამ ტუსაღის სიკვდილის შემდეგ, მთელი სოფელი ჩუმად ლაპარაკობდა მასზედ და წყევლას და კრულვას უგზავნიდა მკაცრ მბრძანებელს. ეხლაც დაღონებული მგოსანი დარწმუნებული იყო, რამ სოფლელები მთელი ღამეები ლაპარაკობენ ამაზედ და ლანძღვენ ბატონს. იცოდა აგრეთვე მგოსანმა, რომ არც ერთი დედა ისე არ გაივლის ამ კლდესთან, რომ არ უთხრას თავის შვილს:

— აგერ, შვილო, იქ, იმ კლდეში, იტანჯება საწყალი ტუსაღი, აგერ რამდენი წელიწადია, რაც არავის უნახავს იგი.

— რისთვის ჩასვეს იქ, დედა, რისთვის? — გულის კანკალით ჰკითხავს ბავშვი.

— რისთვის? იმისთვის, შვილო, რომ ჩვენზედ, საწყალ ხალხზედ, ილაპარაკა ხელმწიფე როჟერთან.

— მაშ დიდი ხანი იქნება იქ ის ტუსაღი, დედა?

— იქამდის, სინამ იმის გახრწნილ გვამს არ გადააგდებენ ლურჯ ზღვაში. ოჰ, რა რიგ უყვარდა იმას ზღვა!..

აქ მგოსანს ეჩვენებოდა ბავშვის მწუხარებით სავსე თვალები, რომელნიც სევდიანად უცქეროდნენ მასა მაგრამ კვალვინდებურად. გადიოდა კვირეები და წლები. ტუსაღისთვის არა იყო დღე. იმის გარშემო სიბნელე გამეფებულიყო.

### IV

### ფარაჯა, ნაპრალი და მეგობარი

ტუსაღს ეგონა, რომ ღმერთმა სრულიად დაივიწყა. გახდა, გაყვითლდა და ნახევრად დაძონძილი ტანისამოსი ძლივსღა უფარავდა კანს. ძვალ-რბილში გამჯდარი სინესტე ეხლა იჩენდა თავის ძალას და უმტვრევდა ძვლებს. მხოლოდ სიკვდილში ღა ჰპოვებდა მგოსანი ბედნიერებას და თავისუფლებას; მხოლოდ იმაზედ-ღა ჰქონდა პატიმარს იმედი. ტუსაღმა იცოდა, რომ ადრე თუ გვიან სიკვდილის ანგელოზი შემოვა თვით ამ სატუსაღოშიაც კი და მოაშორებს ამ ტანჯვას და ვაებას. ეს მგოსანს სჯეროდა, სჯეროდა იქამდის, რომ ხედამდა კიდეც თავისკენ გამოწვდილ ხელებს სიკვდილის ანგელოზისას, რომელიც ნელ-ნელა იმისკენ მოაბიჯებდა.

ტუსაღის გული დღითი-დღე სუსტდებოდა. ორ-სამ ნაბიჯსაც კი ვეღარა სდგამდა, რომ აეღო ფანჯარაში დალაგებული პური და წყალი. არა ერთხელ უნახავს დარაჯს ეს პური და წყალი ისევ ხელ-უხლებლად თავისავე ალაგს. ერთხელ, როდესაც კვლავინდებურად ბურანში წასულიყო, მოისმა რაღაცა შრიალი, თითქოს ზემოდან ჩამოვარდა რამე რბილი და დიდი. ტუსაღი წამოხტა. თმები შიშისგან აებურძგნა. ვინ მოვიდა? ყური დაუგდო—წინანდებული სიჩუმე იყო გარშემო. ხელებ გაშვერილი მგოსანი წავიდა ხმისკენ. ჯერ ქვითკირის სვეტებს წააწყდა და მერე... ოჰ, ღმერთო!.. მერე ფილაქანზედ დაინახა ფარაჯა· ფიცხლავ გაეხვია შიგ

*) იხ. „დამატება“, № 373.

იმის სიხარულს სიზღვარი არა ჰქონდა. რაღაცა უხილავმა ძალამ აიტაცა იგი და აიყვანა მაღლა მაღლა, თავბრუ ეხვეოდა. სიცოცხლის ძარღვმა კიდევ დაუწყო ცემა. ოჰ, მაშ სჩანს, საბრალო არ დაუვიწყნიათ? მაშ არის ვიღაცა მადლიანი, რომელიც ზრუნავს იმისთვის და აი ეხლა ძმურად გამოუწოდა საშველად ხელი?—რაღაცა ტკბილის ოცნებით ჰფიქრობდა ტუსაღი უცნობ მეგობარზედ. ვინ იყო იგი? რისთვის მოიგონა ეხლა ეს მომაკვდავი პატიმარი? იქნება წინანდელმა მეგობარმა მოიგონა იგი, ან არა და ვინმე უცნობმა, რომელსაც გაეგონა მასზედ ბევრი სამწუხარო ამბავი? მაგრად იკრავდა ფარაჯას გულში, თითქოს უნდოდა ამითი მაინც გაეგო იმ უცნობის სახელი, მაგრამ... გაიარა ისევ დღეებმა, კვირებმა, და ჩვენი ტუსაღი მოიცვა ისევ მწუხარებამ და სევდამ.

ერთხელ, როცა ტუსაღი თავისებურად იწვა სკამზედ, ერთბაშად სამარისებურ სიჩუმეში გაისმა გრგვინვა, ტუსაღი წამოხტა, მიიხედ-მოიხედა, იმდენად ახალი, იმდენად უცნობი იყო ეს ხმა, რომ მოეჩვენა სიკვდილი, რომელიც ნელ-ნელა მოაბიჯებდა მისკენ კიბეებზედ. იგი გაეშურა დასახვედრად. გრგვინვა ძლიერდებოდა; მგოსანი გრძნობდა მას იატაკის ქვეშ. კიდევ შორს-შორს გაისმა გრგვინვა; მას ბანი მისცა ქვის იატაკმა, აქ კი ტუსაღი უიმედოდ დაეცა დედა-მიწაზედ. მაშ ეს სიკვდილი მოდის? აგერ ის კიდეც დასტრიალებს მას თავზედ. კედლები და სვეტები ლამობენ ჩანგრევას და აგერ, საცაა, კიდეც დაიტანენ ქვეშ იმის გამხდარ სხეულს... საკვირველია! დიდის ლოდინის შემდეგ, როცა სიკვდილი მოადგა კარზედ, მგოსანი დაეცა პირ-ქვე იატაკზედ და მაგრა, მაგრა წაეხვია ფარაჯაში· ის ხმა თავისუფლებას მიანიჭებს, მაშ რიღასი ეშინიან? ერთი კიდევ გაისმა საშინელი გრგვინვა ძირს სადღაც და შეანძრია მთელი სატუსაღო· მაგრამ ან თვით სიკვდილს შეეშინდა მგოსნის საზარელ სახის გამომეტყველებისა, ან არა და ჯერ არ მოსულიყო იგი.

ბოლოს, როცა ტუსაღმა გადიხადა ფარაჯა და წამოდგა, მის გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა. კვლავ დაუჭა თვალები, ეშინოდა არ გაეხილა. იქნება მოეჩვენა და ვაი თუ ეს ბრწყინვალე მოჩვენება გაქრეს? მგოსანს უნდოდა, რაც შეიძლება, მეტ ხანს დარჩენოდა წარმოდგენა იმ მშვენიერ, ღვთიურ მოჩვენების შესახებ და ვერა ბედავდა თვალების გახელას. ესე თვალებ დახუჭული წავიდა უკან-უკან, ჩამოჯდა სკამზედ რომ სიხარულით თავბრუ დახვეული არ წაქცეულიყო. ოჰ, ეს გრგვინვა ამ სიჩუმეში, ის სინათლე, დიახ, სინათლე, პირველ სიხარულის და სიცოცხლის შუქი იმ სიბნელეში... ბოლოს გაახილა თვალები. სინათლე მოჩვენება არ იყო. მაგრამ ეს კი ცხადია, რომ მიწის ძვრამ გააპო კედელი და.. ტუსაღმა დიდის ხნის ლოდინის შემდეგ დაინახა სინათლე. პატარა სხივად შედიოდა ამ ნაპრალში შუქი. მეტიც არ უნდოდა პირველ ხანს ჩვენ ტუსაღს, რადგან თვალები ვერ იტანდნენ. დიახ, სინათლემ სძლია სიბნელეს, ტუსაღმა დაუწყო ძებნა იმ ჩანგალს, რომელზედაც ეხლა სრულიად დაჟანგებული სანათი ეკიდა. რამდენმა წელიწადმა განვლო მას შემდეგ? ვინ იცის? იქნება რამდენიმე ათმა წელმა გაიარა, ან იქნება მხოლოდ ერთმა. ამ მარტოობაში წლები წუთებათ ეჩვენებოდა ტუსაღს, როცა კი იგონებდა. ფეთხილად ადგა ტუსაღი და გაეშურა ნაპრალისაკენ.

აი, ის სასურველი, სანატრელი სინათლე: ეს ოცნება აღარ არის... არა... არა მარტო სინათლეს გრძნობდა ტუსაღი, არამედ იმის ტანჯულ სახეს ცელქად, ვით სიყვარული, ეალერსებოდა ნიავი: თავისუფალი, მარდი, ლაღი.

მგოსანმა თითქმის ბედნიერად იგრძნო თავი პირველ ხანს, სიცოცხლე თითქოს უბრუნდებოდა. იგი ცოტა მოშორდა ნაპრალს და თვალს არ აშორებდა შუქს. თვალი ნელ-ნელა ეჩვეოდა სინათლეს, ბოლოს კი აღტაცება, გაკვირვება, სიხარული და მადლობა სულს უხუთავდა, ყელში აწვებოდა. ბუნდი სინათლე ნელ-ნელა ჰკრთებოდა, და მალე ოთახში, ვით მერცხალი, შემოვარდა ნამდვილი მზის შუქი. მაშ წეღან ღამე იყო და ეხლა დილა დადგა? ვით ახლად განთავისუფლებული, რომელიც სტკბება ამწვანებულ მინდორ-ველით, მშვენიერ ბაღებით, ლურჯ-ძოკამკამე ცით და მხიარულად მობუტბუტე მწვანე ნაპირების შუა ცელქის წყლით, ისე ეხლა ჩვენი ტუსაღიც ხარბად დასწაფებოდა ნაპრალს და იცქირებოდა გარეთ. ვეებერთელა ნესტიან სვეტებზედ, მზის ცელქი

**ქართლში მომხდარ ამბების გამო.**



ქართლელები.



ზემო ქართლელები.



სურამი.

შუქი მხიარულად თამაშობდა და ციმციმებდა ათას-ფრად. ტუსაღი აღტაცებით იცქირებოდა და მზად იყო დაჰკონებოდა.

ეხლა მგოსანს მეგობარი-ღა აკლდა. ბედმა ესეც არგუნა. ერთხელ იგი ჩვეულებისამებრ ათვალიერებდა კედლებს და ფილაქანს. უცებ შენიშნა კუთხეში რაღაცა თეთრი, გაეშურა



დაბა სურამი.



სურამი. ებრაელების უბანი.

საწყალი სოკო. ტუსალი ფრთხილიდ, ნაზად ეალერსებოდა, ვით საყვარელ შვილს. ასე, აქამდის მიყრუებული ციხე, ეხლა ნელ-ნელა ივსებოდა ახალ, თუმცა ღარიბ ცხოვრებით, რომელიც ახარებდა ობოლ ტუსალს.

V

## შემოფრენილი სტუმარი

არა ერთხელ შესმენია ტუსალს კედლის ნაპრალიდან ქარის მწარე ზუზუნი და ტალღების ბუტბუტი· იქნება ეს მეტის აღელვებისაგან მოსდიოდა ან ყოველსავე მას ცელქი ოცნება ჰქმნიდა იმის გონებაში. მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენი მგოსანი მიეგდებოდა ხოლმე ფანჯარასთან სულ განაბული, მაშინ ისმოდა გარკვევით ფოცხის სტვენა. ოცნებას ეს თავისუფლებად, მხიარულებათ ეჩვენებოდა· თითქმის ხედავდა იმ პატარა, თეთრ ჩიტუნებს, რომელნიც მხიარული ჭიკჭიკით მიფრინავდნენ ლურჯ სივრცისაკენ· მთელ საათობით იწვა ტუსალი ამ ნაპრალთან და იცქირებოდა გარეთ· მხოლოდ ერთი აზრი არ აძლევდა მოსვენებას და თითქოს საყვედურის ნიშნად ეკითხებოდა: აბა რა გააკეთე კეთილი შენს ცხოვრებაში? რა სარგებლობა მოუტანე ხალხს? მართლა და რისთვის იტანჯებოდა მგოსანი? ვინ თხოულობდა იმის მსხვერპლს? ან რისთვის ჰქმნიდა იგი ლექსებს, სიმღერებს თუ ხალხის გულში სამუდამოთ მოკვდებოდა? ეს კი, ეს აქამდის იტანჯება აქ, მხოლოდ იმიტომ, რომ სცდილობდა ხალხის გამოღვიძებას! ეხლა კი, როცა მზის გამოცოცხლებული სხივები ჰფანტავდნენ მგოსნის გარშემო წყვდიადს, ეხლა ტუსალში კვლავ იღვიძებდა წინანდელი მგოსანი. დეე, ტანჯვაში მოკვდეს იგი, დეე ყველამ დაივიწყოს იმისი სახელი, თვით მეგობრებსაც კი— ტუსალი ამას დიდი ხანია შეურიგდა, მაგრამ ოჰ, რა რიგ უნდოდა, რომ კიდევ ეცოცხლა იმის სიმღერას... სიმღერას, რომლითაც იგი ემსახურებოდა სიკეთეს და ჰგმობდა ბოროტებას; სიმღერას, რომლითაც ოდესღაც ატირებდა თვით მკაცრ ჯალათებსაც კი. მგოსანს კარგად ახსოვს თავის მბრძანებლის სიბრალულით სავსე თვალები, როცა იგი უმღეროდა იმას სიყვა-

იქითკენ. იქ იმ კუთხეში, საშინელ-ნესტისაგან წყალი წვეთ წვეთად გადმოდიოდა. მგოსანი დაიკუზა, რომ ენახა, რაა ის თეთრი, და ნახა სოკო, რომელიც იბადება და კვდება ბნელ-ნესტიან სარდაფებში. იგი ამართულიყო წვრილ სუსტ ფეხზედ და ძლივს-ღა იმაგრებდა თავის სიმძიმეს. სოკო შეკრთა ადამიანის სიახლოვისაგან, ადამიანი კი, გახარებული მეგობრის პოვნით, მოიკრუნჩხა. თითქოს ეშინოდა, არ გადატეხილიყო ობოლი სოკო. ეხლა მგოსანი აღარ შორდებოდა სოკოს და სიყვარულით უცქეროდა იმის დღითი-დღე ზრდას და გაფართოვებას. ნაპრალიდან შემოტყორცნილი შუქი და ეს მოულოდნელი სტუმარი ართობდნენ, და ეშინოდა საწყალ ტუსალს, რომ ბოროტი მბრძანებელი არ მოსულიყო და არ ამოექოლა ეს ნაპრალი, ან არ გადაეტეხნა ეს




აი, თქვენი თავისუფლება!..

რულსა და კაცთ-მოყვარეობაზედ, და ეგონა მგოსანს, რომ იმისი მძლავრი, მშვენიერი სიმღერა, ოდესმე შეანგრევს მბრძანებლის გულისკარებს,

ეხლა-კი, ეხლა ნეტა ვინ მღერის იმის სიმღერას? იქნება ის წმინდა სიტყვები ამოდის რომლისამე ფარისეველ გაიძვერა მომღერლის პირიდან, რომელიც უმღერის ბატონს არა სიყვარულსა და კაცთ-მოყვარეობაზედ, არამედ ხოცვასა და ბოროტებაზედ? ან იქნებ იმ ფარისეველის სიტყვით, კიდეც იწვის მთელი სოფელი, ვენახები, ყანები და ტყე? ნუ თუ დასაცინია სილარიბე, სილატაკე? ამისი სიმღერა კი სავსე ძმურს, მეგობრულის გრძნობით დაივიწყეს, ზურგი შეაქციეს ოჰ, არა, არა! მაშინ შეჩვენდეს, შერცხვეს ის ნიჭი, რომლითაც იგი ემსახურებოდა ხალხს!

ერთხელ ტუსაღი ჩვეულებრისამებრ იწვა სკამზედ და შავ ფიქრებში წასულიყო. ერთბაშად გაიღო პატარა ფანჯარა და უცნობმა ხმამ დაიყვირა:



კატამ თავი მოიმძინარა, თაგვებს ეგონათ მოკვდაო.

— ეი, შენ, მაწანწალა! აიღე ეს პური და წყალი, ყაჩაღო!

„ალბად დარაჯი გამოსცვალეს"—გაუელვა თავში გაკვირვებულ ტუსაღს, და ის იყო წამოდგა პურის ასაღებად, რომ გარედამ მოისმა ახალი, სიცოცხლით სავსე სიმღერა. ეს დარაჯი მღეროდა. ტუსაღმა იცნო სიმღერა, იცნო ის, რისათვის აქამდის ამ ჯურღმულში იტანჯებოდა:

დიდება იმას, ვისა მის სახელს!
ვინც მუშა კაცად დაბადებულა,
და შრომა მისი პატიოსანი
სამშობლოსათვის არ დაზოგილა.

მაშ ნუ შედრკებითო, ოჰ, მეგობრებო,
ნუ, ნუ დაჰკარგავთ გამბედაობას;
ადრე თუ გვიან ტანჯული ხალხი
გულში ჩაიკრავს თავისუფლებას.

მგოსანს სახე გაუბრწყინდა. იგი დავიწყებულია; დარაჯმა ყაჩაღი, მაწანწალა დაუძახა, ამ დარაჯმა, რომელიც ახლა ამის სიმღერას მღეროდა. მაშ აღზდგა სიმღერა? ის სცოცხლობს, თუმცა დამწერი კვდება ამ ნესტიან სარდაფში. სცოცხლობს ამ კედლების, თვით ამ სიბნელის გასაბრაზებლად. ოჰ, რა ბედნიერებაა!.. აღზდგა, აღზდგა სიმღერა და ხალხიც აღდგება მასთან ერთად. მერე ვინ მღერის ამ სიმღერას?— ციხის დარაჯი! დიახ, სიმღერა გაცოცხლდა, და არ მოკვდება, ვიდრე ცოცხალია იმისი საყვარელი ტანჯული ერი. მაშ უნაყოფოდ არ ჩაუვლია მგოსნის კვნესას, ტირილს, ტანჯვას იქნება მარტო ერთის დღით დანიშნეს ეს დარაჯი აქ ყარაულად? ხვალ, ზეგ, მთელი კვირეპი, თვეები, ისევ ისე ჩუმად გაიღება პატარა ფანჯარა და ისევ ის სიბნელე, სიჩუმე გამეფდება ირგვლივ, ციხეში. მაგრამ ტუსაღს რა ენაღვლება, მას ჰგონია, რომ მხოლოდ გვამია მიჯაჭვული, მაგრად ამ ციხის კედლებზე, სული კი, თავისუფალი და ძლიერი, როგორც სიმღერა, დაფრინავს ლურჯ სივრცეში.

ეკ. ბაქრაძე.

(დასასრული იქნება)



(ვ. ჭ.)

მაგრამ მოსტყუვდნენ...

რედაქტორ-გამომცემელი ალ. გ. ჯაბადარი.

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩა.—ტელეფონი № 372.